



Proud Member of
AlliottGlobalAlliance®

დამკვეთი : შპს „ოპტიფრუტ“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოპტიფრუტ“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოპტიფრუტ“-ის ს/კ 412736507 (შემდგომში - 'კომპანია') თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების

2.2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიამ მიიღო წმინდა ფინანსური მოგება, თუმცა უფიქსირდება აკუმულირებული ზარალი და მომავალში საოპერაციო საქმიანობის გაგრძელების, აღებული მოვალეობების შესრულებისა და საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა დამოკიდებულია კომპანიის შესაძლებლობაზე განახორციელოს მომგებიანი ოპერაციები ან/და მოიზიდოს დამატებითი ფინანსები.

13. შენიშვნა, სადაც ჩანს რომ კომპანიას აქვს სამართლებრივი დავა შემოსავლების სამსახურთან, გამომდინარე აქედან კომპანიამ განახორციელა სადავო თანხის ოდენობის ანარიცხის შექმნა.

მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რაიმე კორექტირებას, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს აღნიშნული განუსაზღვრელობით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაცხადებთ დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

სარეგ. ნომერი SARAS-A-863342

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
4. მარაგები	15
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
8. ამონაგები / ამონაგების თვითღირებულება.....	15
9. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი.....	15
10. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16
11. სხვა შემოსავლები.....	16
12. მიწოდების დანახარჯები.....	16
13. სასამართლო დავები და მოსალოდნელი ზარალი.....	16
14. დაკავშირებული მხარეები	16
15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

მმართველობის ანგარიშგება	18
--------------------------------	----

შპს „ოპტიფრუტ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
		0	0	0
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	43 835	328 205	1 671 854
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	14 569 651	12 944 629	29 617 629
მარაგები	4	701 178	454 124	29 481
		15 314 663	13 726 958	31 318 964
მთლიანი აქტივები		15 314 663	13 726 958	31 318 964
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(21 379 231)	(23 300 126)	(21 753 057)
		(21 379 131)	(23 300 026)	(21 752 957)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ანარიცხები	13	5 575 372	4 439 905	0
		5 575 372	4 439 905	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	31 118 023	32 587 079	53 071 921
საგადასახადო ვალდებულებები		400	0	0
		31 118 423	32 587 079	53 071 921
მთლიანი ვალდებულებები		36 693 794	37 026 984	53 071 921
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		15 314 663	13 726 958	31 318 964

შპს „ოპტიფრუტ“-ის

დირექტორი: ტევფიკ ტეკინ _____

შპს „ოპტიფრუტ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	8	84 754 058	126 742 835
თვითღირებულება		(72 096 084)	(111 377 370)
საერთო მოგება		12 657 974	15 365 465
სხვა შემოსავლები	11	351 666	1 597 625
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	9	(620 767)	(636 306)
მიწოდების დანახარჯები	12	(4 206 584)	(11 173 300)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	10	(402 528)	(2 122 454)
სხვა ხარჯები		(5 858 867)	(4 578 099)
საოპერაციო მოგება		1 920 895	(1 547 069)
მოგება დაბეგვრამდე		1 920 895	(1 547 069)
პერიოდის მოგება		1 920 895	(1 547 069)
სხვა სრული შემოსავალი:			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 920 895	(1 547 069)

შპს „ოპტიფრუტ“-ის

დირექტორი: ტეფვიკ ტეკინ _____

შპს „ოპტიფრუტ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	100	-	(17 250 379)	(17 250 279)
მოგება წლის ბოლოს			(4 502 678)	(4 502 678)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(4 502 678)	(4 502 678)
2022 წლის 31 დეკემბერი	100	-	(21 753 057)	(21 752 957)
მოგება წლის ბოლოს			(1 547 069)	(1 547 069)
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი			(1 547 069)	(1 547 069)
2023 წლის 31 დეკემბერი	100	-	(23 300 126)	(23 300 026)
მოგება წლის ბოლოს			1 920 895	1 920 895
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი			1 920 895	1 920 895
2024 წლის 31 დეკემბერი	100	-	(21 379 231)	(21 379 131)

შპს „ოპტიფრუტ“-ის

დირექტორი: ტევფიკ ტეკინ _____

შპს „ოპტიფრუტ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(284 370)	(1 343 649)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(284 370)	(1 343 649)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	328 205	1 671 854
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	43 835	328 205

შპს „ოპტიფრუტ“-ის

დირექტორი: ტევზიკ ტეკინ _____

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოპტიფრუტ - ს/ნ 412736507 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის ქუჩა, №16ა, ბინა №111ა. (უნდა აღინიშნოს რომ 2023 წლის 18 სექტემბრამდე შპს ოპტიფრუტი რეგისტრირებული იყო თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ავტომშენებელი, N 88, (ნაკვეთი N01/298)). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხილითა და ბოსტნეულით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ოპტიფრუტ“-ის 100% წილის მფლობელია თურქეთის მოქალაქე ტევფიკ ტეკინ.

კომპანიის დირექტორი: ტევფიკ ტეკინ, U09063868, 24124208272 /თურქეთი/

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა მოგებამ შეადგინა 1 920 895 ლარი და ამ თარიღისათვის კომპანიას უფიქსირდება 21 379 131 ლარის აკუმულირებული ზარალი. მიუხედავად აკუმულირებული ზარალისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან 1. 2024 წლის საოპერაციო მოგება იყო 3 096 779 ლარი, თუმცა საბოლოო ფინანსური შედეგი 1 920 895 ლარი მოგება დაფიქსირდა, რადგან კომპანიამ 1 175 884,92 ლარით გაზარდა ანარიცხი. 2. დამფუძნებელი თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს კომპანიის ფინანსური დახმარება და კრედიტორებთან არის შეთანხმება, რომ უახლოეს პერიოდში არ მოითხოვონ თანხები იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას კომპანიის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას.

2.3 უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

(ბ) გატარებები და ნაშთები

ფუნქციონალური ვალუტისგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშევა.

2.4 გაცვლითი კურსები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო / ლარი	2.9306	2.9753
1 თურქული ლირა / ლარი	0.0795	0.0910

2.5 სავაჭრო მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანების პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

2.8 სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.9 მიღებული სესხები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

2.10 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილება, მფლობელობა, ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალში შენატანები

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

აღირიცხება რეალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

2.12 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებით და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.13 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.14 დაბეგვრა

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი ზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს გამოუმუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი არის 15% (ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად).

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ, როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში **ნებადართული საქმიანობიდან** მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით.

საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს თიზ-ის საწარმოს მიერ არარეზიდენტისათვის (გარდა საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისა) გასაწევი მომსახურების სახეები, რომელიც გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის ჩაითვლება თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განხორციელებულ **ნებადართულ საქმიანობად**.

2.15 ოჯარა

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.16 გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

2.17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

4. მარაგები

	2024	2023
გასაყიდი საქონელი	701 178	454 124
	701 178	454 124

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
ფინანსური მოთხოვნები		
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	11 079 184	11 427 113
გადახდილი ავანსები	3 490 466	1 517 516
სულ ფინანსური მოთხოვნები	14 569 651	12 944 629

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	43 835	328 205
სულ	43 835	328 205

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	29 810 044	29 579 433
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 307 978	3 007 646
სულ	31 118 023	32 587 079

8. ამონაგები / ამონაგების თვითღირებულება

	2024	2023
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	84 754 058	126 742 835
ამონაგების თვითღირებულება	(72 096 084)	(111 377 370)
	12 657 974	15 365 465

9. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
იჯარის ხარჯი	(6255)	(1048)
სხვა საერთო ხარჯი	(614 512)	(635 258)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(620 767)	(636 306)

10. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2024	2023
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(402 528)	(2 122 454)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
სულ	(402 528)	(2 122 454)

11. სხვა შემოსავლები

	2024	2023
შემოსავალი კრედიტორული დავალიანების	75 503	799438
საპროცენტო შემოსავალი	-	6139
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	276 163	792048
ანარიცხის კორექტირებით მიღებული შემოსავალი	3 304 438	-
სულ	351 666	1 597625

12. მიწოდების დანახარჯები

	2024	2023
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	(4 206 584)	(11 173 300)
სულ	(4 206 584)	(11 173 300)

13. სასამართლო დავები და მოსალოდნელი ზარალი

2023 წელს შემოსავლების სამსახურთან დაიწყო დავა გადასახადებთან დაკავშირებით, სადაო თანხის ოდენობა არის 4 439 905 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხულ გადასახდელ თანხას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოახდინა სადაო თანხის 100% - ით ანარიცხის შექმნა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაემატა სადაო თანხა შემოსავლების სამსახურთან 1 135 467 ლარი. კომპანიამ მოახდინა ანარიცხის კორექტირება 1 135 467 ლარის ოდენობის თანხით და 40417,92 ლარის უიმედო ვალის თანხით შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს აისახა 1 175 884,92 ლარი არასაოპერაციო ხარჯში.

14. დაკავშირებული მხარეები

კომპანიამ განახორციელა შეფასება „დაკავშირებული მხარეების“ (მათ შორის: მფლობელები, დირექტორები, მენეჯმენტის ძირითადი წევრები და მათთან დაკავშირებული კომპანიები) არსებობის შესახებ, როგორც ამას ითხოვს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, განყოფილება 33.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, კომპანიას არ ჰქონდა დაკავშირებული მხარეები და შესაბამისად, არ განხორციელებულა არცერთი გარიგება დაკავშირებულ მხარეებთან.

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მმართველობამ განიხილა პერიოდი 2024 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე (2025 წლის 30 სექტემბერი). აღნიშნულ პერიოდში არ დაფიქსირებულა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას ან დამატებით გამჟღავნებას IFRS for SMEs-ის სექცია 32-ის შესაბამისად.

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „ოპტიფრუტი“

2024 წელი

შინაარსი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა.....	18
2. კომპანიის ფილიალები	18
3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ.....	18
4. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები.....	20
5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები	20
6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა	20

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა

შპს „ოპტიფრუტ“ დაფუძნებულია 2018 წელს. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. პარტნიორთა კრება ნიშნავს დირექტორს, რომელიც მინდობილობის წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ის ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ოპტიფრუტ“-ის 100% წილის მფლობელია თურქეთის მოქალაქე ტეფუკ ტკინ.

შპს „ოპტიფრუტ“ -ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ციტრუსების საბითუმო ვაჭრობა ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში. გამომდინარე იქიდან რომ კომპანია ვაჭრობს მალფუჭებადი საქონლით შესაბამისად საქონლის დასაწყობება არ ხდება. შეკვეთის შესაბამისად ახორციელებს საქონლის შესყიდვას და დასაწყობების გარეშე მიწოდებას.

კომპანიას გააჩნია მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, როგორც ახალი „ბაზრების“ მოძიების, ისე არსებულების განვითარების კუთხით. ამასთან მუდმივად ხდება ბაზრის მონიტორინგი სხვადასხვა მეთოდებით, როგორცაა დაკვირვება, გამოკითხვა, სტატისტიკა, ბაზრის კვლევა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ანგარიშგებები.

2. კომპანიის ფილიალები

შპს ოპტიფრუტ - შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ატენის ქუჩა, №16ა, ბინა №111ა

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები, როგორც საქართველოში ასევე ქვეყნის გარეთ


3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასეთია:

	2024	2023	ცვლილება
ამონაგები	84 754 058	126 742 835	41 988 777
საერთო მოგება	12 657 974	15 365 465	
საოპერაციო მოგება	1 920 895	(1 547 069)	
წმინდა მოგება/ზარალი	1 920 895	(1 547 069)	

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2024	2023	2022	2020
ამონაგები	84 754 058	126 742 835	116 612 469	164 092 888
გაყიდვების თვითღირებულება	(72 096 084)	(111 377 370)	(116 029 563)	(158 103 686)
საერთო მოგება	12 657 974	15 365 465	582 907	5 989 202
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(6 297 174)	(16 912 534)	(5 085 585)	(3 592 232)
საოპერაციო მოგება	1 920 895	(1 547 069)	(4 502 678)	2 396 970
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 920 895	(1 547 069)	(4 502 678)	2 396 970
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1 920 895	(1 547 069)	(4 502 678)	2 396 970



კომპანიის ფინანსური მდგომარეობა:

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023
სულ მიმდინარე აქტივები	15 314 663	13 726 958
სულ მიმდინარე ვალდებულებები	(32 253 890)	(37 026 984)
სულ კაპიტალი	21 379 131	23 300 026

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2024	2023	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	1	1	0

4. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები

კომპანია „ოპტიფრუტი“-ის საქმიანობა არის მხოლოდ ბოსტნეულის და ხილის ყიდვა გაყიდვა, რომელსაც კომპანია ახორციელებს დამხმარე ლოჯისტიკური კომპანიებთან თანამშრომლობით შესაბამისად კომპანიას დამატებითი კადრების საჭიროება არ აქვს... გამომდინარე აქედან კომპანიას სტრუქტურული ქვედანაყოფები და ერთეულები არ გააჩნია.

5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

2024 წელს, კომპანია აქტიურად დგამს ნაბიჯებს უკეთესი შედეგის მისაღწევად რისთვისაც:

- მიმდინარეობს ბაზრის კვლევები ახალი კლიენტების მოძიების მიზნით.
- შემუშავდა ახალი ლოჯისტიკური საშუალებები რომ უფრო სწრაფად და ეფექტურად მოხდეს საქონლის ტრანსპორტირება .
- გადაიხედა მომწოდებლებთან ურთიერთობის სტრატეგია (ავანსების და ვალდებულებების ჰეჯირება).

კომპანიის მთავარ აქტივს მისი კლიენტების და მომწოდებლების ბაზა წარმოადგენს. შესაბამისად მუდმივად მიმდინარეობს კონტრაგენტებთან დიალოგი რომ უფრო ეფექტური თანამშრომლობა იქნეს მიღწეული.

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

- განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები. რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაზოგებს. ამ რისკების

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

- სამართავად კომპანია ახორციელებს უწყვეტ ბაზრის მონიტორინგს
- ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან კომპანიის ხარჯების და შემოსავლები დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში, ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით
- აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა მაგალითად ვალუტის დაზღვევა.

საოპერაციო რისკები

კომპანიას ამ ეტაპისთვის გააჩნია შემდეგი სახის საოპერაციო რისკი/რისკები:

- საქონლის ტრანსპორტირების რისკი - ეს რისკი თანმხლები რისკია კომპანიის საქმიანობაში რადგან კომპანია ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნებში საქონლის შეძენას და გაყიდვას. ამ რისკის პრევენციის მიზნით კომპანია იყენებს დაზღვევის მექანიზმებს
- საქონლის გაფუჭების რისკი - ეს რისკი ძალიან მნიშვნელოვანია რადგან კომპანია ახორციელებს მალფუჭებადი საქონლის კერძოდ ხილის (ციტრუსი) ყიდვას-გაყიდვას. ამ რისკის თავიდან ასარიდებლად კომპანია ცდილობს შემკვეთს მაქსიმალურად მოკლე დროში მიაწოდოს საქონელი რომ აიცილოს თავიდან ტრანსპორტირების დროს საქონლის გაფუჭება, ასევე აზღვევს და ცდილობს მომწოდებლებთან შეადგინოს ისეთი კონტრაქტები რომ კლიენტამდე საქონლის მიწოდების პროცესის განმავლობაში საქონლის ხარისხობრივ მახასიათებლებზე პასუხისმგებლობა ქონდეს მომწოდებელს.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის

მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

ტეფიკ ტეკინ _____

შპს „ოპტიფრუტ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	8	84 754 058	126 742 835
თვითღირებულება		(72 096 084)	(111 377 370)
საერთო მოგება		12 657 974	15 365 465
სხვა შემოსავლები	11	351 666	1 597 625
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	9	(620 767)	(636 306)
მიწოდების დანახარჯები	12	(4 206 584)	(11 173 300)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	10	(402 528)	(2 122 454)
სხვა ხარჯები		(5 858 867)	(4 578 099)
საოპერაციო მოგება		1 920 895	(1 547 069)
მოგება დაბეგვრამდე		1 920 895	(1 547 069)
პერიოდის მოგება		1 920 895	(1 547 069)
სხვა სრული შემოსავალი:			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 920 895	(1 547 069)

შპს „ოპტიფრუტ“-ის

დირექტორი: ტეფვიკ ტეკინ

**OPTIFRUIT LLC**

VAT: 412736507

Georgia, Tbilisi, Vake district.

Ateni Str. №16a, Apt. №111a

შპს „ოპტიფრუტ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	100	-	(17 250 379)	(17 250 279)
მოგება წლის ბოლოს			(4 502 678)	(4 502 678)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(4 502 678)	(4 502 678)
2022 წლის 31 დეკემბერი	100	-	(21 753 057)	(21 752 957)
მოგება წლის ბოლოს			(1 547 069)	(1 547 069)
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი			(1 547 069)	(1 547 069)
2023 წლის 31 დეკემბერი	100	-	(23 300 126)	(23 300 026)
მოგება წლის ბოლოს			1 920 895	1 920 895
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი			1 920 895	1 920 895
2024 წლის 31 დეკემბერი	100	-	(21 379 231)	(21 379 131)

შპს „ოპტიფრუტ“-ის



OPTIFRUIT LLC

VAT: 412736507

Georgia, Tbilisi, Vake district,
Aghmashenebeli Ave. №111a

დირექტორი: ტეფიკ ტყეშელაშვილი

10-23 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ოპტიფრუტ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(284 370)	(1 343 649)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(284 370)	(1 343 649)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	328 205	1 671 854
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	43 835	328 205
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს		

შპს „ოპტიფრუტ“-ის



OPTIFRUIT LLC

VAT: 412736507

Georgia, Tbilisi, Vake district,

Shiraz St. №111a, Apt. №111a

დირექტორი: ტეფიკ ტყეშელაშვილი

ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის

მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

 **OPTIFRUIT LLC**
VAT: 412736507
ტეფიკ ტეიქინი Georgia, Tbilisi, Vake district,
Ateni Str. No 28a, Apt. No 444a

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ანდრე აუდიტი“

სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-934401

ზაზა მჭედლიშვილი

სარეგ. ნომერი SARAS-A-863342



თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025